# სახალხო გაზეთი

№ 182 კვირა, 12 დეკემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 182

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большья Ванская ул., N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი, ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# სახალხო გაზეთი

გაზეთი გამოვა 1911 წელს იმავე პროგრამით, როგორც 1910 წ. გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1911 წელსაც გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით

**მიიღება ხელის-მოწერა 1911 წლისათვის.**

**გაზეთის ფასი: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ 8 მან. და 50 კაპ., ნახევარი წლით 4 მ. და 80 კ.; ერთი თვით 80 კაპ.**

თვიური ფასები:

| | წლით | 11 თვით. | 10 თვით. | 9 თვით. | 8 თვით. | 7 თვით. | 6 თვით. | 5 თვით. | 4 თვით. | 3 თვით. | 2 თვით. | 1 თვით. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისში . . . და ტფილისს გარედ. | 8 მ. 50 კ. | 8 მ. — | 7 მ. 50 კ. | 6 მ. 90 კ | 6 მ. 20 კ. | 5 მ. 50 კ. | 4 მ. 80 კ. | 4 მ. — „ | 3 მ. 20 კ. | 2 მ. 40 კ | 1 მ. 60 კ. | — 80 კ. |
| საზღვარ-გარედ . . . | 12 მ. — „ | 11 მ. — „ | 10 მ. — „ | 9 მ. — „ | 8 მ. — „ | 7 მ. — „ | 6 მ. — „ | 5 მ. — „ | 4 მ. 50 კ. | 3 მ. 50 კ. | 2 მ. 50 კ. | 1 მ. 25 კ. |

ცალკე ნომერი ყველგან თითო შაური. ● დამატებიანი ნომერი 7 კაპეიკად.

**ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.**

**ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის" კანტორაში და წერა კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.**

**ხელის მოწერის პირობები:**

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან ნაწილ-ნაწილადაც გადაიხადოს: ხელის მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის" კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети".

დამდეგ 1911 წლის განმავლობაში „სახალხო გაზეთის" დამოუკიდებლივ განზრახულია გამოიცეს რამდენიმე კრებული სამეცნიერო, ფილოსოფიური და სამხატვრო შინაარსისა. თითო წიგნი იქნება 300—500 გვერდამდე. გამომცემლებთან შეთანხმებით „სახალხო გაზეთის" წლიურ ხელის მომწერლებს თითო წიგნი დაუჯდებათ 50 კაპ., სხვებისთვის კი ეღირება არა ნაკლებ თითო მანათისა.


კვირას, 12 დეკემბერს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში, წირვის შემდეგ, 12 საათზე, გარდახდილ იქნება პანაშვიდი დაუვიწყარ ძმის

**გიორგი დეკანოზიშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ და მარია გაბრიელის ასული ქანანოვისა. (2—281—2)

10 დეკემბერს გარდაიცვალა

**ირაკლი მიქელაძე,**

რასაც მისი ასული ოლღა, ძმა—მერაბი, სიძე—ნოე კორძაია და სხვა ნათესავნი, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. დასაფლავება კვირას, 12 დეკემბერს, სოფელ ყულაში. (1—282—1)

**ქართული თეატრი**

● ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა ●

კვირას, 12 დეკემბერს, 1910 წ.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

**ქმართა სკოლა**

კომედია 3 მოქმედებად მოლიერისა, თარგ. ივ. მაჭავარიანისა.

II

**მუსიკა და დეკლამაცია**

III

**გულმა იგრძნო**

დრამ. 1 მოქ. თარგ. მ. საფაროვ-აბაშიძისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: ტ. აბაშიძე, დავითაშვილი, ლოლუა, პიერრეტა, ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გვარამე, ზარდალიშვილი, მამფორია, მელიქინეთხუცესიშვილი, ვ. მატარაძე, მაჭავარიანი, მგალობლიშვილი, კანდელაკი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი საბენეფისოა.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ვ. აბაშიძე. ადმინისტ. ქართ. დრ. საზოგადოებისა. 5—5

**საბურთალოზე ვქირავებ მშრალ პადვალს**

დიდს და კარგს სიგანით ოცდა-ხუთი არშინი (25 არშ.) სიგრძით თორმეტი არშინი (12 არ.), სიმაღლით ოთხი არშინი (4 არშ.) კუთხის პადვალს. თითონ პატრონი იულო მიქელის ძე ჭანიშვილი პადვლის თავზე ცხოვრობს. (2—274—2)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაჩნაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ზ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. ბოცვაძე—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$ $12^1/_2$ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—512)

**ძმ. ზუბალაშვ. სახალხო სახლი**

კვირას, 12 დეკემბერს, შუადღის 1 საათზე, პოეტი

**აკაკი**

წაიკითხავს ქართულად ლექციას შემდეგ თემაზე:

—●● არქეოლოგიური ნაშთი საქართველოში ●●—

შემოსევა აზიურ მტარვალებისა და ბრძოლა მათთან.—ქართველების დარჩენილი არქეოლოგიური ნაშთები.

ბილეთების ფასები 5 კ. დან 50 კაპ.-მდე. ბილეთები იყიდება კასაში ყოველ დღე. (3—272—3)

**ძმათა ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

ორშაბათს, 13 დეკემბერს,

ან. ჩირგაძის, ვ. ლეჟავას, პიერრეტას, ნებიერიძისა და გ. ყიფიანის, შ. შარაშიძის, ი. ივანიძის, ნ. გოცირიძისა, ნ. ჭვარაძის, ვ. მატარაძისა და ს. ხვიმონიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**დ ა ლ ა ტ ი**

დრამ. 5 მოქ. ალ. სუმბათაშვილისა.

ადგილების ფასი 5 კ. 50 კაპ.

დასაწყისი 8 საათზე. რეჟისორი ს. ხვიმონიძე.

Adresse Télégraphique SANITAS

Адресъ Телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ

КАВКАЗСКОЕ ТОВАРИЩЕСТВО ТОРГОВЛИ АПТЕКАРСКИМИ ТОВАРАМИ

ТИФЛИСЪ, БАКУ, БАТУМЪ.

ტფილისში, ბაქოში, ბათუმში

**პარფიუმერია**

ბროკარისა და ამხ. ფირმისა მოსკოვში.

სურნელოვანი წყალი „საუცხოვო იასამანი" „ ვალფლოსა" „ „პოემე" ოდეკოლონი „თოვლის ზამბახი".

ხელის საპონი „ლილაპისი". პირის გამოსაგლები „სოლოლი". თებოს მოსახპობი და თმის საზრდელი „პეტროლი" პომადა „პეტროლი". (1—286—1)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლომბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურგ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირხალავა რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^1/_2$ ს.

ხოზიკოვსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—349)

**ბუნებრივი კახური ღვინოები**

კარდენახის საუკეთესო ზვრებიდან

**ძმ. ხელაშვილებისა.**

სარდაფი ნიკოლოზისა და ნეკრასოვის კუთხის სახლში NN 14 და 11.

სარდაფში ინახება გარდა ახალისა ძველი, 6—7 წლის, ღვინოებიც.

ბოთლი 25 კ.-დან 1 მანეთამდე.

(20—195—13) პატივისცემით—მოსე ხელაშვილი.

**ექიმი** ქ. ქუთაისში **თ. ტყეშელაშვილი**

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ საშარდე და სასქესო ავებულებათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილაროვის სახლი, (50—170—30)

**ექიმი** **ე. ი. მინასიანცი**

ხწამლობს შინაგან, საშავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ მატშიეუს სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქ. N 39. ტელეფონი 1067. (100—44)

**ექიმი** **შ. ა. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** **ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—286

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—105)

**ექიმი** **ჯაფარიძე**

ქ. ქუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—35)

**ექიმი** **რ. დ. მაჭავარიანი**

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—53

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

**ექიმი** **მ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე კირონის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** **ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**მსურს** ვიყიდო უძველესი ხელნაწერები თათრული, სპარსული, ქართული და სომხური აგრეთვე სპარსული ძველებური სურათები.

Семеоновская ул. д. № 4. Мкртычъ Амаміанъ. (3—284—1)

**ჩრდილოეთის ცეცხლისაგან დამზღვევი ● საზოგადოება ●**

(„Сѣверное страховое общество")

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ მთელ კავკასიაში ინსპექტორად ხსენებულ საზოგადოებისა დანიშნულია კ. დ. მესხი, რომელიც ცხოვრობს ქ. ტფილისში, ვერის დაღმართ. (2—260—2)

შაბათს 11 დეკემბერს, გამოიდვა გასასყიდად

**ა ლ მ ა ნ ა ხ ი**

**„606" № 2.**

გაზეთის გამყიდველებს შეუძლიანთ ალმანახი იყიდონ „სორაპნის" სტამბაში. ფასი 3 კ. (3—3)

**ბაქოში**

ვექილი

**მიხეილ ნასიძე**

ცხოვრობს სპასკის ქუჩაზე, სახლის № 49. (10—6)

**ნაშრომი (3):**

რუსთაველის გარშემო. ქართული ბიბლია მე-VI საუკ. ალწერა, ტექსტები, ლექსიკონი. ფასი 20 კ. (5—250—5)

# ტფილისი, 12 დეკემბერი

**კადეტების გამარჯვება.** ოქტომბრისტების პარტია სახელმწიფო სათათბიროს ხელმძღვანელი პარტიაა. უკანასკნელმა საარჩევნო რეფორმამ საკანონმდებლო დაწესებულება ოქტომბრისტებს ჩაუგდო ხელში. ეს ჩვენ ხშირად აღგვინიშნავს. დღე ისე არ გაივლის, რომ სათათბიროს მოღვაწეობამ ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი არ გვიჩვენოს, თვითოეული საპარლამენტო დღე ნათლად გვიმტკიცებს, რომ ეს ბატონობა ოქტომბრისტებს სწორედ განსაზღვრულმა საარჩევნო სისტემამ მიანიჭა და არა ხალხის სიმპატიამ. ამიტომ მოხდა, რომ მიუხედავად ოქტომბრისტების ერთსულოვანებისა, ბევრს რეაქციონურს კანონპროექტების განხილვის დროს, ხშირად მაინც დაქსაქსულობას იჩენენ ხოლმე. ოქტომბრისტები მტკიცედ გარკვეულს საზოგადოებრივ ჯგუფს არ წარმოადგენენ. ისინი ერთის ინტერესით არ არიან გაერთიანებულნი, ერთის აზრით არ არიან გამსჭვალულნი. ოქტომბრისტთა პარტია კანგლომერატია მრავალ-ფერ მისწრაფებებისა, ინტერესებისა და პოლიტიკურ აზროვნებისა. პოლიტიკურადაც ყველა ოქტომბრისტები ერთიანად არ არიან გაწვრთნილნი.

ასეთი ჭრელი შედგენილობა ოქტომბრისტთა პარტიისა, ძალიან ხშირად უხერხულს მდგომარეობაში ჩააგდებს ხოლმე მათ. ასე დაემართათ პროვოკატორ ხოროლსკის გამო შეტანილ შეკითხვის გამო.

აზეფის პროვოკაციის საკითხმა ჩვენს თვალ-წინ გაიარა. სათათბიროს ოპოზიცია ჰგმობდა აზეფის მოღვაწეობას, მაგრამ ოქტომბრისტების გავლენით, მაშინ შეკითხვა უარ-ყოფილ იქმნა. ხოროლსკის საქმეს, როგორც დეპუტატმა მაკლაკოვმა აღნიშნა თავის სიტყვაში, ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, რანაირიც აზეფის შეკითხვასა ჰქონდა. აზეფის პროვოკაციით მთავრობა სარგებლობდა რევოლიუციის ჩასაქრობად, და ამიტომ მის მოღვაწეობის დაგმობას გაცილებით მეტი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნებოდა. მაგრამ მაშინ ოქტომბრისტებმა მოქალაქობრივი ვაჟკაცობა ვერ გამოიჩინეს და აზეფის მოქმედება ვერ დაჰგმეს. ხოროლსკის პროვოკაციას ეგოდენი პოლიტიკური მნიშვნელობა არა ჰქონდა და ამიტომ, როგორც ეტყობა, სათათბირო მზად იყო, მიეღო იგი.

მაგრამ დეპუტატმა მაკლაკოვმა ხოროლსკის პროვოკაციის საკითხი წინანდელს პროვოკაციებს დაუკავშირა და სთქვა, ჩემის მხრივ კარგი არ იქნებოდა ამის მოქმედება დამეგმო და წინანდელს პროვოკატორებზე კი ხმა არ ამომეღოვო. შეიძლება მაკლაკოვს ბევრს რამეში არ დაეთანხმოს ადამიანი, მაგრამ მისი სიტყვა იმდენად ძლიერი და კარგი გამოდგა, რომ ეტყობა ოქტომბრისტებზედაც იმოქმედა. მაკლაკოვის სიტყვას შედეგად ის მოჰყვა, რომ სათათბირომ, ბევრი დავიდარაბის შემდეგ, მაინც კადეტების ფორმულა მიიღო. 132 ხმით წინააღმდეგ 124-ისა. კადეტთა ფორმულა კი ჰგმობდა როგორც ხოროლსკის, ისე წინანდელების პროვოკაციას.

ამ რიგად, კადეტები გამარჯვებულნი დარჩნენ. მაგრამ რა ფასი აქვს ამ გამარჯვებას? კადეტების გამარჯვება მხოლოდ ოქტომბრისტების დაქსაქსულობასა და გამოურკვევლობას უნდა მიეწეროს. კადეტების გამარჯვება ამ საკითხში მხოლოდ შემთხვევითი გამარჯვებაა.

ოქტომბრისტებმა ისე კატეგორიულადა და მოურიდებლად უარ-ჰყვეს აზეფის შეკითხვა, რომ ორი აზრი მათს შეხედულობის შესახებ პროვოკაციაზე არავის არ შეიძლება ჰქონდეს. ამას გარდა, ჩვენს ხსოვნაში საკმაოდ გრძელი ისტორია ოქტომბრისტთა მოღვაწეობისა; ისინი მალე მოვლენ გონს და ეცდებიან დაუმტკიცონ. ვისაც ჯერ არს, რომ ისინი არც მართლა და დიდი თაყვანისმცემელნი არიან კადეტთა ფორმულისა. განსახილველი ჯერ კიდევ ბევრი კანონ-პროექტია, და ოქტომბრისტებიც იაფად არ დაუსვამენ კადეტებს იმ გამარჯვებას, რომელიც მოტყუებით ხელიდან გამოჰგლიჯეს.

# სახელმწიფო სათათბირო

**თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.**

ნორმალურ დასვენების კანონ-პროექტზე კამათობენ.

მამა კლიმოვი, სტროჩაკი და პახალჩაკი კვირაობით სრულს დასვენებას მოითხოვენ.

**ეპისკოპოსი ევლოგი** მუსულმანებსა და ებრაელებს უმტკიცებს, რომ კვირას უნდა უქმობდნენ არა მარტო მართლმადიდებელნი, არამედ მართლმადიდებელ რუსების ყველა ქვეშევრდომნიო.

**პეტროვი.** შრომის ჯგუფის სახელით კვირაობით სრულს დასვენებას ემხრობა შემდეგის შესწორებით: სავალდებულო დადგენილებით შეიძლება სხვა დღეებშიაც აიკრძალოს ვაჭრობა.

**პეტროვსკი.** თხოულობს, ნოქრებსა და მოსამსახურეთ კვირაში ერთი დღე მაინც ადამიანური დასვენება უნდა შეეძლოთო და პირუტყვისავით კი არ უნდა ცხოვრობდნენო (მარჯვნივ, მარცხნივ და ცენტრის ნაწილში ტაშს უკრავენ.

**ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი მილლერი.**

მთავრობა სრულს საკვირაო დასვენების მომხრეა, ხოლო ადგილობრივ პირობათა მიხედვით ზოგიერთის იშვიათის გამონაკლით, როგორც ეს კომისიის რედაქციაში მოხსენებული. სრული საკვირაო დასვენება ისეთ სახელმწიფოში როგორც რუსეთია, არ შეიძლება, ვინაიდან ათასგვარი სხვა და სხვა მოქიშპე ეროვნებისაგან შესდგება. კანონი კი მთელის რუსეთისთვის ერთი უნდა იყოს და სახელმწიფოს ყველა ნაწილებს უნდა აერთიანებდესო.

ამ საკითხის გადაწყვეტა ორშაბათის სხდომამდე გადასდეს.

**სკოროპადსკი** სამართალში მიცემის თაობაზე შეთანხმებელ კომისიის მოხსენებას აკეთებს.

**მაკლაკოვი.** მე სურვილი არა მაქვს სახელ. საბჭოს ვეკამათო, მაგრამ ვიტყვი, რომ საბჭოს რედაქციით ამ კანონ-პროექტის მიღება მავნებელი და დამღუპველია რუსულ სასამართლოსა და ცხოვრებისათვის. საბჭოს მიერ შეკვეცილი პროექტი, ეს სამინისტროსი, ჩვენი, სათათბიროს კანონი კი არაა—ეს—სახელმწიფო საბჭოს კანონია. ამასთანა კანონზე ჩვენ მხოლოდ ერთი პასუხი გვაქვს—უარვყოთ იგი. (ცენტრში და მარცხნივ ტაშის ცემა.

**კოსმინი მეორე.** სამართალში მიცემის წესმა უნდა უზრუნველჰყოს ყოველი ბრალდებული, რის გამოც სათათბირომ არსებულ წესებში ცვლილება შეიტანა და ბრალმდებელს სამოსამართლო პალატას კონტროლი დაუნიშნა.

**ტიმოშკინი.** სახელ. საბჭოს რედაქციას ემხრობა და აცხადებს, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი უნდა მოისპოსო.. (აქ დეპეშა არეულია. სიცილი და შაშის ცემა მარცხნივ).

**შუბინსკი.** 17 ოქტომბრისტთა ფრაქციის აზრით სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს შეუთანხმებლობას ვერ ავიცილებთ, სათათბიროს საბჭოს მიერ დამახინჯებული კანონ-პროექტს ვერ მიიღებს, ამისათვის სათათბირომ საბჭოს პროექტი უნდა უარჰყოს. თუ საბჭო საკამათოდ გვიწვევს, სათათბიროს ღირსება გვავალებს უპასუხოდ არ დასტოვოს იგი (ცენტრი და მემარცხენენი ტაშს უკრავენ, მემარჯვენენი უსტვენენ.)

ამ პროექტს კენჭს უყრიან და ყველა სარედაქციო შენიშვნებით ერთხმად ღებულობენ. საბჭოს მიერ შეტანილ ყველა არსებითს ცვლილებას უარჰყოფენ, ოპოზიციისა და ოქტობრისტების უმრავლესობით, ნაციონალისტთა და მემარჯვენეთა წინააღმდეგ.

**პროცენკო** შინაგან საქმეთა მინისტრის კანონ-პროექტის მოხსენებას კითხულობს არხის გაჭრისა და წყლის გაყვანის გაუმჯობესობაზე პეტერბურგში. ამ საქმისათვის ქალაქმა 100 მილიონი მანათი უნდა ისესხოს 15 წლის ვადით. ქალაქის თვით-მმართველობა თხოულობს, ამ საქმის გამგეობა სამინისტროს ხელში კი არ გადავიდეს, არამედ თვით ქალაქის ხელთ იყოსო.

ამ საკითხის განხილვა ორშაბათის სხდომისათვის გადაიდო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 დეკემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**ბელგრადი.** სასამართლოს გამოძიებით, ვასიჩს თანაზიარნი არა ჰყოლია. სვენტოხოვსკი მას შემთხვევით გაუცვნია „სლავიანთა სამხრეთის“ სადგურთან. სვენტოხოვსკიმ ვასიჩს გაუზიარა,—გრაფი ფორგაჩი უკმაყოფილოა, რომ გარეშე პირებთან მაქვს ნაცნობობა, ხოლო სურვილი გამოსთქვა—ვასიჩი წარმომიდგინეთო. 1909 წ. 15 თებერვალს ვასიჩი წარუდგინეს მას. მათი შეხვედრა მისსიის მოხელე ტიფენბახის ბინაზე მოხდა, სადაც მისსიის მდივანი ოტტო ფრანციც დაესწრო. შემდეგ სვენტოხოვსკიმ უთხრა ვასიჩს, გრაფ ფორგაჩს თქვენთან დასავალებელი რამ საქმე აქვსო და „სლავიანთა სამხრეთის“ ორასი ოქმი გადასცა, სადაც ვასიჩს ხორვატული კილოკავები წმინდა სერბიულ ენით უნდა შეესწორებინა. ცოტა ხნის შემდეგ სვენტოხოვსკიმ ვასიჩს შეატყობინა, გრაფ ფორგაჩსა არა ჰსურს, რომ არქივებში შესწორებული ქაღალდები იქონიოს და ამ საბუთების გადაწერა სთხოვა. ერთხელ ვასიჩის თანადასწრებით სვენტოხოვსკიმ გერმანული წერილი მიიღო, გადასთარგმნა და ვასიჩს გადასცა ხორვატიული კილოკავების შესასწორებლად და გადასაწერად. ეს წერილი სერბია-ხორვატიის კოალიციას ეხებოდა სერბიაში და უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტს ვეკერლეს გაუგზავნეს. უკანასკნელ დროს ვასიჩი თვეში 600 ფრანკს (225 მან.) იღებდა.

იმას დაჰპირდნენ, რომ სამუშაოს გათავების შემდეგ, ფორგაჩი მას ვენაში სწავლის დასამთავრებლად გაგზავნიდა. ვასიჩი ვენაში უნდა წასულიყო 1909 წ. 9 ნოემბერს, სანამ ფრიდიუნგის საქმის გარჩევას დაიწყებდნენ, მაგრამ ვასიჩმა უარი განაცხადა. მოწმენი ადასტურებენ რომ ვასიჩს უნგრეთის მასსიასთან დამოკიდებულება ჰქონდაო. ორმა ექსპერტმა დაამოწმა, რომ ყალბი დეპეშა, რომელშიაც პროფესორი მაკოჩიჩი დიდ-სერბიის მქადაგებლადაა გამოყვანილი, სვენტოხოვსკის ხელითაა დაწერილიო.

ვასიჩის ჩვენება პირველად ზღაპრად ჩასთვალეს, ეხლა კი სიმართლის მსგავსად უმიაჩნია. დამტკიცებულია, რომ სვენტოხოვსკისა და ვასიჩს ერთად შეუდგენიათ ყალბი საბუთები.

**ბერლინი.** „ფოსიშე-ცაიტუნგს“ ათინიდან დეპეშით აუწყებენ: მფარველ-სახელმწიფოთა ელჩები კრიტოსის პარტიათა ბელადებს ემუქრებიან, სამს უმთავრეს ქალაქსა და საბაჟოებს დავიჭერთ, თუ მშვიდობიანობას არ დაიცავთ და კრიტოსის საქმე ჩვენთვის სასურველად არ გადასწყდებაო. ამ განცხადებამ ბელადებზე მცირე გავლენი იქონია.

**ზაგრები.** ბანტომაშიჩმა, სერბო-ხორვატელთი კოალიციას გარდა, ყველა პარტიები მიიმხრო. სეიმის თავმჯდომარედ მთავრობის კანდიდატი ნიმანი აირჩიეს. სეიმის სხდომა 10 იანვრამდე გადაიდო.

**სოფია** ეროვნულ კრებაზე 88 დეპუტატმა მოითხოვა სამართალში მისცენ მინისტრად ნამყოფნი: პეტროვი, გუდევი, პაიაკოვი, გენნადიევი, გენერალი სავოვი, სალაჩევი, შიშმანოვი. აღნიშნული პირნი სამი დღის განმავლობაში უნდა წარუდგნენ ეროვნულ კრებას და განმარტება მისცენ.

**ბუდაპეშტი.** უქმეებისა გამო პალატა 21 დეკემბერს დაიშალა.

**ბელგრადი.** „პოლიტიკის“ აზრით, ვასიჩი ნაკლებაა დამნაშავე, ვიდრე ფორგაჩი.

**ტოკიო.** პარლამენტის სხდომები დაიწყო. სეფე სიტყვა მინისტრ-პრეზიდენტმა წაიკითხა.

**რ უ ს ე თ ი**

**ბაქო.** ფულის დასტყუებლად ვაჭარ აბრამიანცი გამტაცებელ ახარიაცი. სამხედრო სასამართლომ 10 წლით კატორგა მიუსაჯა. ნავთის მწარმოებელ რილსკის გატაცებისათვის 12 წლის კატორგა ჰქონდა გადაწყვეტილი.

**ოდესა.** სამოსამართლო პალატამ პროფესორი დემიდოვსკი გაამართლა. იგი პასუხისგებაში იყო მიცემული, 1905 წელს ნოვოროსიის უნივერსიტეტში რევოლუციონურ სიტყვის წარმოთქმისათვის.

**პეტერბურგი.** საბაჟო კომიტეტმა შესაძლებლად სცნო ოდესიდან გაზიდულ ქვა-ნახშირზე არსებული გადასახადი მარიუპოლსა და აზოვის ზღვის სხვა ნავთსადგურებზედაც დააწესოს.

**პეტერბურგი.** ქალაქის უფროსმა 43 სტუდენტი სამთამადნო და პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტისა ორი-კვირიდან სამთვემდე დააპატიმრა, პოლიციის მოთხოვნილების აუსრულებლობისათვის.

**ჩიმკენტი.** ფოსტის სადგურზე ოთხი ჩინელი ჩამოხტა, ჩინეთის პეკინიდან კულჯაში მიემგზავრებიან. ამბობენ ერთი მათგანი მინისტრი არისო. ორმა ქალაქი გულმოდგინედ დაათვალიერა, ყველაფერი გამოიკითხეს. იმათ რუსული კარგად იციან. ერთმა განაცხადა გარეშე სამინისტროს საქმეს მწარმოებელი ვართო.

# ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **პანაშვიდი.** გუშინ ვანქის ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი სრულიად სომეხთა კათალიკოსის მათეოს მეორის იზმირლიანის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გადახდილ იქმნება დღესაც.

✦ **კათალიკოსის გარდაცვალების გამო.** სრულიად სომეხთა კათალიკოსის მოადგილემ გუშინ ტფილისიდან ეჩმიაძინში დეპეშით დაიბარა კუბო განსვენებულ კათალიკოსისათვის.

✦ **წესდების დამტკიცება.** ტფ. გუბერნატორის მოადგილემ უკვე დაამტკიცა ქართულ სამეურნეო საზოგადოების წესდება და ამ დღეებში დამფუძნებელნი შეუდგებიან საზოგადოების ორგანიზაციას.

✦ **ვასო აბაშიძის ბენეფისი.** დღეს ქართულ თეატრში დანიშნულია ნიჭიერ და დამსახურებულ მსახიობის ვასო აბაშიძის ბენეფისი. პირველად წარმოდგენილ იქმნება მოლიერის 3 მოქმ. კომედია „ქმარსკოლა“, თარგმანი ივ. მაჭავარიანისა, შემდეგ იქნება „მუსიკა და დეკლამაცია“. სხვათა შორის, ვასო აბაშიძე წაიკითხავს კუპლეტებს „606“. დასასრულ წარმოდგენილ იქმნება 1 მოქმ. დრამა „გულმა იგრძნო“, თარგმანი მ. საფაროვაბაშიძისა.

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი.** ხმ. გ. თუმანოვი ქალაქის გამგეობას ურჩევს ხმოსანთა და საზოგადო მოღვაწეთაგან შეადგინოს კომისია, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა გაანაღდოს ქალაქის თვითმართველობათა და საზოგადო დაწესებულეთა მიერ დანაპირები შეწირულებანი კავკასიის უნივერსიტეტის სასარგებლოდ. ბ-ნ თუმანოვის განცხადება განსახილველად წარედგინება ქალაქის საბჭოს.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ხვალ ქალაქის საბჭოს კრება მოჰხდება. წარსულ ორშაბათს კრება არ შესდგა დღესასწაულობის გამო, ხოლო ხუთშაბათს, 10 დეკემბერს, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

---

# ოხუნჯი

(საკვირაო გაზეთი).

## „606“

აიწეწა ქართველთ საქმე...
მეც მას ვსტირი, მაზე ვკვნესი:
იმას როგორ მოაბრუნებს
ერლიხისა „ექვსას ექვსი“?

—

პოეტები გაგვიმრავლდნენ,
იწერება ლექსი... ლექსი...
სწორედ მათთვის მოიგონეს
უებარი „ექვსას ექვსი“.

—

რა ვუყოთ, რომ ჯერ არ შობილ
ქართულ კლუბის ხმება ფესვი...
დღეს, ან ხვალე მოაბრუნებს
ერლიხისა „ექვსას ექვსი“.

**გარდანქეშანი.**

## ახალი ამბები

მეჯლისმენის ტაძარში. ხვალ ქართულ თეატრში რუსულ პრესის თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილ იქმნება კვლავ გლდანელის 3 მოქმედებიანი დრამა „ქიდაობა“ და მერაკვილაძისა და ჯაშის ვოდევილი „გასამართლება“. ქართველთა უმაღლესმა არისტოკრატიამ ბილეთები უკვე იყიდა.

ახალი პიესა. ი. გრიშაშვილმა დასწერა 5 მოქმ. ტრაგედია „ოცნების კოცნა“. მთავარ როლს „მარაშკა“-სას ავტორი შეასრულებს. ილუსტრირებს ა. ზანშიაშვილი.

შავ ჭირთან ბრძოლა, ტფ. ქალაქის მამებმა დიდ-ძალი ვირთაგვა დახოცეს. დახოცილთა შორის მოშინაურებული თაგუნაც აღმოჩნდა. ცნობილმა ეშმაკმა „მამათა“ წინააღმდეგ სამოქალაქო საჩივარი აღძრა.

შავი ჭირის მოლოდინი ფოთში. ნიკო ნიკოლაძის წინადადებით, ქალაქის საბჭომ დაადგინა, სთხოვოს შავ ჭირს, ჯერ ნუ ინებებს ფოთში მოსვლას. თხოვნას იმით ასაბუთებენ, რომ დასახვედრად მომზადებულნი არა ვართო.

სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჭარბდება. სწავლის მძებნელთა საყურადღებოდ აღვნიშნავთ: გრიგოლ რობაქიძემ ჯერ საზღვარ-გარედ გაათავა უმაღლესი სასწავლებელი და შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში მიებარა. იქ სწავლის გათავების შემდეგ გადმოვა ტფ. ქართულ გიმნაზიაში, ხოლო საბოლოდ სწავლას დააგვირგვინებს იმ სამრევლო სკოლაში, რომელიც მანამდე გაიხსნება სამების ეკლესიასთან.

მეცნიერთა დჯგა. გუშინ შოთას შესახებ ლექცია წაიკითხა მხცოვანმა ასტროლოგმა ს. კაკაბაძემ. ამტკიცებდა, „ვეფხის ტყაოსანი“ დაიწერა შაჰ-აბაზის დროს და შაჰ-აბაზ მავე გააშალაშინა შოთას უხეში ტაეპებიო. მოსე ჯანაშვილი მარრის ციტატებით ამტკიცებდა, რუსთაველი ანში ცხოვრობდა ქრისტეს დაბადებამდე და „ვეფ. ტყაოს.“ დედანი ინახება ბრიტანიის იმ მუზეუმში, რომელიც კარგა ხანია დაიწვაო. ი. აბულაძეს აზრით, „ვეფხის ტყაოსანი“ პირდაპირი თარგმანია „სლოვო ო პოლკუ იგორევე“-სი. დ. კარიჭაშვილმა ყველას პირში ბურთი ჩასჩარა: მე ახლაც ვიცნობ იმ მოხუცთ, რომელთაც შოთას დაბადება კარგად ახსოვთო.

ახალი ჟურნალი. 1911 წლიდან გამოვა ახალი ჟურნალი „ცხოვრება და ხელოვნება“, რომელსაც მკითხველი არ ეყოლება, რადგან, ვინც კი საქართველოში წერა-კითხვა ოდნავ მაინც იცის, რედაქტორად არის მიწვეული. ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი: არქიტექტურა, მედიცინა, ტეხნოლოგია, სტატისტიკური ჩუმაღოლოგია, თეორია ბავშვების მოშენებისა და ციხ-ლოგია. უკანასკნელ განყოფილების გამგედ ოფიციალური რედაქტორი ნ. ლორთქიფანიძე იქმნება.

მშობელთა საბჭოში. ამ საბჭომ დაადგინა, ტფ. მოსწავლეებისათვის ყველა სასწავლებელთან ღვინის დუქნები დაარსონ, რათა მოსწავლეებმა ქუჩაზე აღარ იხეტიალონ.

**ტლინკაძე.**

—

## პოეტის დღიურიდან.

ქართული მწერლობა არ არსებობს. ჩემთვის, როგორც პოეზიის ჭეშმარიტ თაყვანის-მცემლისათვის, უფრო სამწუხაროა ის გარემოება, რომ პოეტი ჯერ არ გვყოლია. მაგალითისთვის მომყავს პოეტად აღიარებულ შოთას სიტყვები:

ეჰა, მზეო გეაჯები
შენ უძლესთა მძლეთა მძლესა..
. . . . .
მე ნუ გამყრი საყვარელსა...
ნუ შემიცვლი ღამედ დღესა...

ბატონებო, ადამიანს სწორედ „კამეჩის სმენა“ უნდა ჰქონდეს, რომ ამ ავტორის, ან კიდევ ვილაც მოგონილ ვაჟა-ფშაველას ლექსები ყურში არ ეხოთიროს. ერთად ერთი მგოსანი, რომელიც სიუცხოვო ჰანგებით მსოფლიოს მოევლინა, არის რუსის უკვდავი პოეტი ტრედიაკოვსკი, რომელსაც ჰადალი ჯერ არ გამოსჩენია *) როდემდის უნდა გაგრძელდეს ეს აუტანელი მდგომარეობა, სწორედ გამოურკვეველია. პოეზიის გასამშვენიერებლად და ახალ გაზრდა მგოსნების სანიმუშოდ მომყავს საკუთარი ლექსი-მაჯამა:

ფული მივეც სურათებში.
არ გავტეხე სურა, თეფში.
„თევზთა გუნდნი“ ზღვასა ჰგვიან..
სატრფო მოდის მეტად გვიან..
„წვეთთა ცვარი“ კუდა-მელის...
ვგრძნობ, დიდება მგოსანს მელის..

**მელიტონ გობეჩია.**

—

*) მორცხვობთ, ბატ ო ავტორო, ტრედიაკოვსკის ღირსეული მეტოქე უკვე მოევლინა საქართველოს შენისთანა ტ. ტაბიძისა.

## პატარა ფელეტონი

**ხაშიში ქორწინება.**

— ბატონო პართენ, გამოცდილი კაცი მეგონე და ძალიან გაიკვირ და, რად მოიყვანეთ სახლში უმზითვო და ანჩხლი დედოფალი?

— რა ვუყოთ, ძმაო, სხვა გზა არ იყო... მაჭანკლების ამბავი ხომ იცი? და ჩემი მაჭანკალი—კოტე ტყავაძე—ყველაზე ახირებული გამოდგა. მეც დავუჯერე. ხომ გაგიგონია, ცდა ბედის მონახავრეაო. თუ არა და...

— განა განქორწინება ეგრე ად ვილი იქნება?

— ჰმ! შენგან არ მიკვირს! თუ შენ ჩემი გაზეთი წაგიკითხავს, უთუოდ ნახავდი ჩემის კარგის მეგობრის თომა ნასიძის განცხადებას, რომელიც „ცოლ-ქმართა განქორწინების საქმეს მშვენივრად, პირიანად და იაფად ასრულებს“. და ნუ თუ თომა ჩემთვის უნარს დაზოგავს?.. ხომ იცნობ თომას, აი იმას, რომელმაც პირველად აღმოაჩინა ქართველების ერლიხი—ქვაშვეთის ეკლესიის მთავარ-დიაკონი ოქრომჭედლიშვილი.

**აბზინდა.**

—

## გაცრუებული იმედი

ტყვილად გაქე, ბელეტრისტო,
და პარნასის მთაზე შეგსვი,
რად დაგჭირდა ასე მალე
კრიტიკოსის „ექვსას ექვსი“.

**კრიტიკოსი.**

—

## თეატრი და ხელოვნება

**ორიგინალური წარმოდგენა.** 9 დეკემბერს, ქართულს თეატრში, მეტად ორიგინალური წარმოდგენა გაიმართა. წარმოადგინეს „მედეია“, რომელშიაც მხოლოდ ორი მსახიობი იღებდა მონაწილეობას: ქ-ნი ჩირგაძე—მედეია და ბ. მდივანი—იაზონი. განსაკუთრებით კარგი იყო ბუდუ მდივანი, რომელსაც მეტად ნაზი, ნარნარი ხმა, აღმოჩნდა მაგრამ, სამწუხაროდ, იმდენად სუსტი, რომ მხოლოდ პარტერის პირველ რიგში თუ ისმოდა სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ქანდარა აღარ ისვენებდა და ჰყვიროდა: ხმა-მაღლა, ხმა მაღლაო.

საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა და გადასწყვიტა, სთხოვოს დრამატიულ გამგეობას, ბუდუ მდივანის ნაზ ხმას წარამარად ნუ დააზარალებს და მხოლოდ სიმფონიურ კონცერტებისთვის გამოიყენოს.

**Homo.**

რედაქტორ-გამომცემელი
**ა ვ ჟ ი ა.**

**ცეცხლი ბორჯომში.** ამ დღეებში ცეცხლი გაუჩნდა ბორჯომში კარლო ბარატინსკის სახლს. ცეცხლის ალში ჩქარა გაეხვია მეზობელთ სახლები და გადაიწვა. ზარალი მოუვიდათ: ბარატინსკას — 3.250 მანეთისა, ივლიტა ხუციშვილს — 8.000 მან., სტეფან და იოსებ არშამანოვებს — 6.000 „ მან., მელქო აკოფოვს — 7.000 მან. და ივანე ზომნას მემკვიდრეთ — 1.000 მან. სულ — 35.000 მან.

**მგლებრის კლუბში.** ამ კლუბს, რომელიც შარშან დაარსდა, დღემდე შემოსავალი ჰქონია 7677 მან. 93 კაპ., ხარჯი — 7.526 მან. 33 კ.

**თავის მოკვლა.** გორის მაზრის სოფელ ქემულთაში ამ დღეებში მუცელი გამოუღადრავს დანით მიხეილ ბალაურს. ამბობენ, მიზეზი ის გაუხდა, რომ შარშან ნაუსავი სოსიკო ბალაური მოჰკლა და სინდისი ჰქეჯნიდაო.

**პანაშვიდი გ. დეკანოზიშვილის სულის მოსახსენებლად.** დღეს ქუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში, წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნება პანაშვიდი განსვენებულ მოღვაწის გიორგი დეკანოზიშვილის სულის მოსახსენებლად.

**„ნაკადული“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ მე-23 ნომერი (მცირეწლოვანთათვის). ჟურნალი საინტერესოდ არის შედგენილი.

**გრიგოლ დიასამიძე და ალექსანდრე ყანჩელი** გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ისინი არავითარ მონაწილეობას არ იღებენ გაზეთ „ზაკ. რეჩ“-ში.

**საბავშო კითხვა.** დღეს, 12 დეკემბერს ავჭალის აუდიტორიაში ქ-ნ თევზაძე წაიკითხავს: „ყვავი“. — სამკურნალო საზოგადოების შენობაში ქ-ნი ავალიანი — „ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი“. — ნავთლუღში ქ-ნი ელიავა — „განკარგულება“ ნინოშვილისა. დასაწყისი ყველგან 11 საათზე.

— 10 დეკემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 34 უპასპორტო.

**სოფ. დიცსა და კორდის შუა** (გორის მაზრა) იპოვეს სამიცი წლის მოხუცის ანდრია კოკოშვილის გვამი. თავი დაჩეჩქვილი აღმოაჩნდა.

**ცხოვრება და ხელოვნება.** გამოვიდა ნ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით კვირეული ჟურნალი „ცხოვრება და ხელოვნება“ შემდეგის შინაარსით:

სსს-შშშ, — აბაშელი; პატრონატი, — პ. კაზიტია; *** — ი. გრიშაშვილი; ილია ჭავჭავაძე, როგორც სიმბოლი, — კიტა აბაშიძე; დიალოგი, — პ. ალდენბერგიდან; პ. ჰუგოსთან, — ა. მირსკი; *** — ი. მჭედლიშვილი; ლევ ტოლსტოის ხსოვნას, — გრ. დიასამიძე; მაცდური, — შ. არაგვისპირელი; რ. ნ. გველესიანი, — ა. პ. სარაჯიშვილი; ღიმილი, — ალ. შანშიაშვილი; პროზა და პოეზია, — ი. ვართაგავა; ძირითადი კანონი, — გიორგი გვაზავა; რომანსი, მუსიკა, — ა. ყარაშვილისა; მღვიმეში ფანტასტიური სანახაობა, — შ. დადიანი, 1—8 გვ.; როსტომიანი შაჰნამედან, 1—4 გვერ, ს. კაკაბაძე.

## † ვახტანგ დიმიტრის ძე თულაშვილი

9 დეკემბერს, დილით, გარდაიცვალა საზოგადო მოღვაწე ვ. დ. თულაშვილი. განსვენებული წ. კ. საზოგადოების დამაარსებელთაგანი იყო. იგი 1845 წ. დაიბადა მანგლისის მხარეს. მისი მშობლები ღარიბი აზნაურიშვილები იყვნენ და მხოლოდ მიწის მზომელთა სკოლაში დაამთავრებინეს სწავლა, სადაც იგი საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა. შემდეგ სამსახურში შევიდა, სათანადო უნარი გამოიჩინა, მალე დაწინაურდა და საოლქო გამმიჯვნელ სამმართველოს წევრობამდე მიაღწია. მას წინადადება მისცეს ამავე თანამდებობაზე განჯაში გადასულიყო; ამის გამო განსვენებული სამსახურიდან გამოვიდა და პენსიითა სცხოვრობდა.

განსვენებული ბევრ ქართულ საზოგადო საქმეებში იღებდა მონაწილეობას. დიდხანს წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის წევრად იყო. ილია ჭავჭავაძის „საქართველოში“ თანამშრომლობდა, სადაც შინაურ მიმოხილვასა სწერდა ხოლმე.

განსვენებულს დარჩა ერთი გათხოვილი ქალი — ხარბინში და ერთი ვაჟი, რომელიც ტფილისში სცხოვრობს და სამხედრო სამსახურშია.

განსვენებულის სურათს დღევანდელ დამატებაში ვბეჭდავთ.

## † სომეხთა კათალიკოსის გარდაცვალება.

დეპეშამ სამწუხარო ამბავი მოგვიტანა. 11 დეკემბერს, დილის 11 ს. და 15 წ., ეჩმიაძინში გულის სიგანივრით გარდაცვლილა სრულიად სომეხთა კათალიკოსი მათეოზ მეორე იზმირლიანი.

განსვენებული განათლებული და ეროვნულ დემოკრატიულ პრინციპების დამცველი კაცი იყო. 1894 წლიდან სტამბოლის პატრიარქად იყო და თვალით ნახა ოსმალეთის სომეხთა ჟლეტა. სტამბოლიდან ჩქარა განდევნა იგი მაშინდელმა სულთანმა აბდულ-ჰამიდმა. დასახლდა იერუსალიმში, სადაც დაჰყო 1908 წლამდე. როდესაც ოსმალეთში კონსტიტუცია დამყარდა, განსვენებულიც სტამბოლში დაბრუნდა, სადაც დიდის ამბით მიიღეს და ხელმეორედ აირჩიეს პატრიარქად.

1908 წ. 8 ოქტომბერს განსვენებული არჩეული იქმნა სრულიად სომეხთა კათალიკოსად. იმავ წელს ივნისში კავკასიაში ჩამოვიდა სექტემბერში მირონცხება მიიღო. სომხის ხალხი განსვენებულ კათალიკოსისაგან მოელოდა ბევრს კეთილს საქმეს, განსაკუთრებით სწავლა-განათლების საქმის რიგიანად დაყენებას სომხურ სკოლებში, მაგრამ სიკვდილმა ერს ადრე გამოაცალა ეს შეგნებული და ხალხის მოყვარული ადამიანი. განსვენებულს ეჩმიაძინის ტაძრის ეზოში დაკრძალავენ.

## ქართული ქველმოქმედება და ქართველი სტუდენტობა

(წერილი რედაქციის მიმართ)

სხვა მოწინავე ერებსავით ქართველებსაც გვყავს ქველმოქმედნი, გვაქვს, თუმცა მცირერიცხოვანი, მაგრამ მაინც, სხვა და სხვა საქველმოქმედო დაწესებულება, რომელთა უმთავრესი ყურადღება ქართველ მოსწავლე ახალგაზდობისკენაა მიქცეული. აზრი, რა თქმა უნდა, დიდად სიმპატიური და საქებია, მაგრამ, საუბედუროდ, უმეტეს შემთხვევაში არა სასურველად და უკუღმართად ხორციელდება. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ სხვა და სხვა დაწესებულების, თუ კერძო პირებისაგან გადიდებული სტიპენდია — ერთდროული დახმარებები ჩვენი სტუდენტების სასარგებლოდ, ხშირად უთანასწოროდ და უსამართლოდ ნაწილდება: იმ დროს, როდესაც სტიპენდია-დახმარებების გამწესრიგებელი კომისიები ხშირად პირადის ნაცნობობისა და პროტექცია-ნათლიმამობის წინ ქედ-მოხრილნი, სტიპენდიებს ნივთიერად უზრუნველყოფილ სტუდენტებს არგუნებენ ხოლმე, ამავე დროს ღარიბი, ხელ-მოკლე სტუდენტობა მშრალზე რჩება და ეკარგვის უკანასკნელი იმედი ღმადლეს სწავლის მიღებისა. ჩვენ, რასაკვირველია, არ გვინდა ვთქვათ, რომ ზოგიერთ გამონაკლისს გარდა, ამას განზრახ სჩადიოდენ. ასეთი მოვლენა ჩვენის აზრით იმით აიხსნება, რომ ფულების გამნაწილებელნი ადვილად შედიან შეცდომაში, ღარიბებად არა-ღარიბებს მიიჩნევენ ხოლმე. მშობლები უკიდურეს სიღარიბის დასამტკიცებლად ადვილად შოულობენ მოწმობას. ფორმალურად, აქ ყველაფერი კანონიერადაა გაკეთებული და კომისიებს არავითარი უფლება არა აქვთ ამისთანა პირებს არ დაუჯერონ. მაგრამ ნამდვილი სიღარიბე სტუდენტებისა მხოლოდ საუნივერსიტეტო ქალაქში გამოჩნდება ხოლმე. აქ უკვე ვერ გადის ხრიკები და ყოველი მამა, თუ ის ყოველგვარ საშვალებას მოკლებული არ არის, უცხო მხარეში გადახვეწილი შვილს ულუკმა-პუროდ არ დასტოვებს. ამიტომაცაა, რომ ხშირად ერთი და იგივე სტუდენტი, რომელიმე საზოგადოების ან კერძო პირის სტიპენდითაც სარგებლობს და ამავე დროს სახლიდან „სხვა-და-სხვა მოულოდნელ შემთხვევებისათვის“ სახარჯოდ რამოდენიმე თუმნიბით მოსდის. აქვე შეხვდებით ქართველი სტუდენტობის უმეტესს ნაწილს, რომელსაც არსაიდან ერთი კაპიკი არ მოსდის, მაგრამ სწავლის სურვილით აღვსებული ითმენს ყოველგვარ წარმოუდგენელ გაჭირვებას, სისტემატიურ სიმშილსაც კი, რომ თავის მიზანს მიაღწიოს. არა ერთხელ მიუქცევია ქართველ სტუდენტობას ასეთი სამწუხარო მოვლენისათვის მათი ყურადღება, ვისიც ჯერ არს, მაგრამ დღემდე მისი ხმა რჩება „ხმათ მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“. ეხლა, ჩვენ უთითებთ რა ასეთს არა სასურველ და უსამართლო მოვლენაზე ყველა იმ საქველ-მოქმედო დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომელთა ხელშიაც სტიპენდიების და სხვა დახმარების განაწილებაა, წინადადებას ვაძლევთ: სტიპენდიების გაწესრიგებაში ქართველ სტუდენტობას უსათოდ შეეკითხნენ ხოლმე და მათ მოსაზრებასაც ანგარიში გაუწიონ. თვით უნივერსიტეტებშიაც კი, სადაც პროფესორები თავის უმეტესობაში მემარჯვენე ელემენტებს წარმოადგენენ, ისინიც კი აღიარებენ სტიპენდიების და ერთდროულ დახმარებების განაწილებაში სტუდენტების მონაწილეობის საჭიროებას და თითქმის მუდამ ხელმძღვანელობენ სტუდენტების რჩევა-აზრებით. თუ კი ეს ასე ხდება მთავრობის დაწესებულებაში, სადაც გაცილებით ნაკლებად დემოკრატიული ელემენტებია, ვიდრე ჩვენგან ზემო დასახელებული დაწესებულებებია, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენი ქველმოქმედნი უფრო ადვილად შეითვისებენ ასეთს პრინციპს და საუსებით მიემხრობიან. მას გადაჭრით ვაცხადებთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტობას შეუძლია მეტი სამართლიანობა დაიცვას, რადგან ნამდვილი სიღარიბე სტუდენტისა სავსებით საუნივერსიტეტო ქალაქში აშკარავდება. ვთხოვთ ყველა დაწესებულებასა და კერძო პირთ, რომ სათვისტომოების მიერ მიწოდებული ცნობებით იხელმძღვანელონ და მეტი ყურადღება იმ სტუდენტებს მიაქციონ, რომელთა თხოვნებზედაც სათვისტომოს დასტური და მისი ბეჭედი იქნება დასმული. დღევანდელ პირობებში ეს მიგვაჩნია უფრო სამართლიანად და მოუწოდებთ ყველა დანარჩენ უნივერსიტეტების სათვისტომოებს მხარი დაგვიჭირონ და ასეთივე წინადადებით მიჰმართონ მათაც ყველა საქველმოქმედო დაწესებულებებს და კერძო პირებს.

ოდესის ქართველ სტუდენტების მინდობილობით.

**ვალ. მიქელაძე, კლ. ტყემალაძე, მიხ. აშხნელი, ნიკ. ბეჟუაშვილი და გრ. ზიზელაშვილი.**

## კავკასიური საღამო პეტერბურგში

(ხშირ ფოთლებიან, უღრანი ტყე, ტყის ხიდრმეში კორდები, ხერები და ცამდის აღმართული, ნისლში გახვეული, თოვლყინულიანი მთები, — აი, დეკორაცია იმ სცენისა, საიდანაც კავკასიის მთებში მცხოვრებ ერების პეტერბურგელი სტუდენტობა აცნობს პეტერბურგის საზოგადოებას).

კავკასიის მთიულთა სათვისტომომ 22 ნოემბერს საღამო გამართა. ამ სათვისტომოში შედიან ოსები, ლეკები, თუშები, კაბარდინელები და სხვა. ყველა ესენი დახმარებას უწევდნენ საღამოს და მონაწილეობდნენ მასში. შარშან, რამდენადაც მახსოვს, ასეთი საღამო არ გამართულა. წელს ამ საღამომ ხალხი საკმაოდ მიიზიდა. პროგრამმა საღამოსი ვერ იყო ისე რიგად შინაარსიანი; მეორე ხარისხოვან არტისტებით ვერ გააკვირვებთ პეტერბურგელს მაშინ, როდესაც შეუძლია ყოველ დღე საუკეთესო ძალები მოისმინოს და დაინახოს საიმპერატორო თეატრების სცენიდან.

მიუხედავად ამისა საღამო მაინც შთაბეჭდილებას ახდენდა; საუცხოვო სურათი იყო სცენიდან წარმოდგენილი: ზემოხსენებულ დეკორაციის წინ გაიმწკრივნენ შვიდამდის ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილი ქალები ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ოცამდე ყმაწვილი ჩერქესკით გამოწყობილი და შეიარაღებული. ამ პატარა ჯგუფმა გამართა ცეკვა რომელმაც დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. კარგი იყო კაბარდინული ლეკური: თავისებური მიხვრა-მოხვრა, გახტომ-გამოხტომა ქალის გაქცევა და ვაჟის გამოდევნება, პირველის მიერ უცაბედათ მოტრიალება, მეორეს მიერ გზის გადალობება, — ყოველივე ეს აოცებდა მზგავსს რამეების უნახავ პეტერბურგელებს. თქვენ უნდა გენახათ განცვიფრება საზოგადოებისა, როდესაც კონცერტულ განყოფილების ბოლოს სცენაზე გამოჩნდენ ორი ხუთი-შვიდი წლის ბავშვები და ლეკური ჩამოუარეს. მოხდენილად თამაშობდენ ჩოხოსანი, ხანჯლიანი ყმაწვილები. მაყურებლები ისე გაიოცა ამ სურათმა, რომ იძულებული ჰყვეს პატარა განმეორებით ჩამოევლოთ ლეკური.

საერთოდ საღამომ შთაბეჭდილება კარგი დასტოვა. შემოსავლის მხრით ვერ დაიკვეხნიან ჩვენი მეზობელი მთიულები, მაგრამ ასეთი საღამოებით, რომ რამოდენიმედ მაინც თავს გააცნობენ უცხოელებს, ეს ექვს გარეშეა. ამიტომ ურიგო არ იქნება ყოველ წლობით ჰმართონ ასეთი საღამოები და მათ მეტი ნაციონალური ელფერი დააჩნიონ, მეტი ორიგინალობა მისცენ. მაშინ საზოგადოებაც მეტი დაესწრება და კმაყოფილებაც ორკეცი იქნება მათში.

არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა მომავალ ქართულ საღამოზე. სათვისტომოს უკანასკნელ კრებაზე საბალო კომისია ამოირჩიეს და მით დაკმაყოფილდნენ, თითქოს გადაწყდა ყველაფერი, რაც საჭიროა, მე კი ვფიქრობ, რომ მარტო კომისიის ამორჩევით საქმე არ გაკეთდება ისე, როგორც სასურველია. წელს ქართული საღამო ორმოც-და-მეთერთმეტე ჯერ იმართება; უმთავრესად ამ საღამოებს ერთი და იგივე პირები ესწრებიან. ამიტომ თუ ისევ ის, რაც შარშან და იქითა წლებში იყო, აჩვენეს სცენიდან წელსაც, შეცდომას ჩაიდენენ; ამით საზოგადოებას თავს მოავაყირქებთ. ვის არ მობეზრდება ერთი და იგივეს ნახვა და მოსმენა? ორიგინალობის გამოჩენაა, ბატონებო, საჭირო; რამდენს მეტ ახალს რასმე შეიტანთ საღამოს პროგრამაში, იმ უფრო ათ წილად უფრო მოგებული ვიქნებით ყოველის მხრივ შინაარსითაც და დაფასებითაც, — იდეალურად და მატერიალურად.

ამიტომ კომისია და ყოველივე ჩვენგანი — მოვალეა აქედანვე შეუდგეს საქმის რიგიანად მოწყობას (საღამო იანვარში გაიმართება) და უნდა ეცადოს: ა) დარბაზი, რომელშიაც გაიმართება საღამო, მორთოს რაც შეიძლება კარგად; არ კმარა ხალიჩების და ფარდაგების იატაკზე და კედლებზე მიკიდებ-დალაგება, საჭიროა ისე მოეწყოს, რომ მნახველზე ჯეროვანი შთაბეჭდილება დასტოვოს თავის ორიგინალობით. აზიური ოთახი შარშანაც მორთეს, მაგრამ მას ცოტა მზგავსება ჰქონდა აზიურთან, რაღაც აკლდა. წელს ოთახები უფრო უკეთესად უნდა მორთონ. ბ) ქართული სიმღერები უსათუოდ უნდა იქნეს პროგრამაში შეტანილი და ამიტომ უნდა ეთხოვოს გ. ფოცხვერაშვილს თავს იდვას ეს საქმე და, რაც შეიძლება, მეტი ახალი სიმღერები მოასმენინოს საზოგადოებას. ქართული სიმღერები მოსწონს პეტერბურგის საზოგადოებას, რაც დაგვიმტკიცა შარშანდელმა საღამომ; და გ) რაც შეიძლება, მეტ ნაწილმა ქართველობისამ ეცადოს შეიძინოს იმ დრომდის ქართული ნაციონალური ტანისამოსები: ჩერქესკა, ქულაჯა, ჩაქურა და სხვა. უფრო კი ქალებმა უნდა მიაქციონ ამას ყურადღება, ტანისამოსში. ისინი შარშან ძალიან კოჭლობდნენ, ორიოდეს გარდა არავის გააჩნდა ქართული კაბა.

ამ გვარად, რაც შეიძლება მეტი ორიგინალობა: ქართული ხალხური სიმღერები, სხვა-და-სხვა გვარი ქართული საცეკვაოები, რიგიანად შეკერილი ტანისამოსი, კოსკების ორიგინალურად მოწყობა, ვინემ შარშან იყო, ოთახების ლამაზად მორთვა და მაშინ მხოლოდ შევსძლებთ მისსიის შესრულებას; თორემ მარტო ნივთიერი მხარე, როგორც ბევრს ჰგონია, არ უნდა აინტერესებდეს სათვისტომოს ქართულ საღამოს გამართვაში. მას მიზნად დასახული აქვს, — თავი გააცნოს უცხოელებს.

ლადო გიგიშკარი

## ფილოქსერა კახეთში

ფილოქსერამ ალაზანს გაღმა იმერელ-მოსახლეების ვენახებში ამოჰყო თავი. ადმინისტრაციამ ამას თავისებური ყურადღება მიაქცია და კომისია გაგზავნა.

კომისიამ შესაფერი ზომები მიიღო ფილოქსერიან სოფლებში.

მაგრამ სადაც ეს საშინელი სენი დაიბუდებს, იმ არე მარეს აღარა ეშველება რა, თუ ძირითადი ზომები არ მიიღეს. ამ მხრივ კომისიის მუშაობა უბრალო მალამოა, სანუგეშოს ვერაფერს გააწყობს, სინიდისიერად და გულმოდგინედაც, რომ მოეკიდოს საქმეს.

საფრანგეთისა და იმერეთის გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ რაკი ფილოქსერამ თავი იჩინა, დღეს იქნება თუ ხვალ — მაინც კახეთს მოედება და ვენახებს გაანადგურებს.

ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად ამერიკულ ვაზზე დამყნილი ვენახები უნდა გავაშენოთ, თუმცა ეს ათი წელიწადი მეტია, რაც კახეთში ფილოქსერას მოელიან. მაგრამ მთელს კახეთში ათიოდე ვენახი თუ მოიპოვება ამერიკულ ვაზზე დამყნილი. და ერთი-ორი ამერიკულ ვაზის „პიტომნიკი“ წინანდლის სახაზინო ფერმაში და გოგნიაშვილის და ქოპულაშვილისა — იქვე კისისხევის ბოლოს.

ამასთან ძალიან ძვირად იყიდება ამერიკულ ვაზზე ნამყენი — 1000—75 მ. ეხლა სამ ოთხ ალაგას სხვაგან დაუწყვიათ ასეთ სანერგეების გაშენება. სასურველია, რომ ასეთი სანერგე არამც თუ ყველას, არამედ ყველა დიდ ზვრის პატრონს უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი „პიტომნიკი“, რომ ხუთი — ათი წლის განმავლობაში მთელი კახეთის ვენახები ამერიკულ ვაზზე გაშენდეს, თორემ კახეთს ვეღარც კახეთის რკინის გზა იხსნის და ვეღარც სხვა რამე.

მეტი პრაქტიკული მუშაობა, თორემ აღარაფერი გვიხსნის. **ტ—ძე.**

## მუშების ცხოვრებიდან

**ქუთაისი.** თუმცა დღეს, სანატრელ პირობებში საზოგადოთ მუშებს და ამა თუ იმ დაწესებულების დაბალი მოსამსახურეებს ვერსად ვერ ნახ ვთ, მაგრამ ქუთაისის ქალაქის გამგეობის დაბალ მოსამსახურეების აუტანელი მდგომარეობა ხომ კალმით აუწერელია. ღებულობენ თვეში 12 მ-გან 18—20 მანეთამდის და, ასე წარმოიდგინეთ, თქვენ, ასეთ მცირე ჯამაგირსაც თავის დროზე ვერ ღებულობენ. ხშირად მეორე და მესამე თვეში თუ აიღეს პირველი თვის ჯამაგირი კარგი უნდა. ამათ შორის ბევრი ისეთები არიან, რომ 15—18 მანეთით ცოლშვილიც უნდა არჩინონ, ბინაც უნდა დაიქირაონ. გული გიკვდება ადამიანს, როდესაც კასსთან ქანდაკებასავით გაჩერებულ მუშას ხედავ, რომელიც კასირს ემუდარება: „მიშველეთ, ამ თვისას — თუ ვერ მომცემთ წარსული თვისა მაინც მომეცითო“. როცა კასირი პასუხათ დაიძახებს: არ არის ფული, მომშორდითო, ის — ძალა-უნებურად გამოდის გარედ და თავისთვის ჩუმად ჩაილაპარაკებს: „15—18 მანეთი ჰქონდეს ცოლ-შვილის პატრონ კაცს თვეში, ოთახის ქირას აძლევდე და მასაც თავის დროზე ვერ ღებულობდე ამაზე მეტი უსამართლობა განა იქნება“ — თქ! კიდევ კარგია მისთვის თუ ასეთი ჩუმი ლაპარაკის მსხვერპლი არ გახდა და ქუჩა არ იხილა სამაგიეროდ, თორემ ყურადღებას ვინ მიაქცევს მას კვნესას (ისეთ მართალი რომ ვსთქვა, ღმერთო შეგცოდე(?) 1905 ძლიერ ნატრობს), ასეთია დღეს ქუთაისში ქალაქის გამგეობის დაბალ მოსამსახურეების მდგომარეობა და ძლიერ კარგი იქნება, ახალი ქალაქის საბჭო, თავის ახალ გამგეობით, თუ მთლიანად არა, ნახევრად მაინც მიაქცევდნენ ყურადღებას ასეთ მათ მდგომარეობას. **წამებული.**

## სილოვან ხულაძვილიძის ხსოვნას.

(ნეკროლოგის მაგიერ)

მეტად გულსაკლავი ამბავი მოგვიტანა „სახალხო გაზეთმა“, მაგ. ბნელი გარემოებისაგან, სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეში გადახვეწილ ამხანაგებს... სამწუხაროა და თითქმის უტანჯავი ის განსაკუთრებით მათთვის, ვინც დაახლოვებით იცნობდა განსვენებულს იმ დროიდან მახსოვს იგი, როდესაც განმანათლებელი სხივები მიიწურა...

სწორედ ამ დროს გამოვიდა პატარა სილოვანი სამოქმედოთ.. ეს ის დრო იყო, როცა „ძველი“ მიდიოდა მოდგაწენი. საქმეს გაურბოდენ და სადმე შორს, სამშობლოს გარედ, მოსვენებას ეძებდენ... სილოვანი მთელი თავისი ახალგაზდური ენერგიით დაწყებულ საქმის მოგვარებას ეძებდა და ნაყოფიერიც იყო მისი მოღვაწეობა.. განსვენებული ჟურნალ-გაზეთებშიაც იღებდა მხურვალე მონაწილეობას. სწერდა მოკლე და აზრიან კორესპონდენციებს გლეხების და რკინის გზის მუშების ცხოვრებიდან „მოგიდოვეცის“ ფსევდონიმით... ვის არ უნახავს მისგან ნიჭიერად გატოცხილი „სულიერი მამა“ სოფლის და საზოგადოთ უგულო ორგული.

**ს. მართნელი.**

## თეატრი და ხელოვნება

**სიმფონიური საღამო სახაზინო თეატრში.** ხუთშაბათს 9 დეკემბერს სახაზინო თეატრში გამართულ იქმნა, პირველი სიმფონიური საღამო. ტფ. საიმპერატორო მუსიკალურ სასწავლებლის დირექტორის ნ. ნიკოლაევისა და ზ. ფალიაშვილისა. ტფილისის საზოგადოებას იშვიათად ეძლევა ხოლმე შემთხვევა მოისმინოს ამ გვარი სერიოზული კონცერტები და ამით აიხსნება, რომ ამ დღეს თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. საკონცერტო პროგრამმაში სხვათა შორის შედიოდა 5-ე სიმფონია „C—moll“ ბეთხოვენისა ვაგნერის მუსიკალურ დრამიდან.

(Tristan et I'solda), მოდებული „სიკვდილი იზოლიდასი“, მისივე „ვალკირიათა ფრენა“ და ნ. ნიკოლაევის კონცერტი „E—moll“, რომელიც ტფ. საზოგადოებამ პირველად მოისმინა.

აქ ჩვენ არ შევუდგებით დაწვრილებით ამ მუსიკალურ ნაწარმოებთ შესრულების დაფასებას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს საღამო მთელი ტრიუმფი იყო ნ. ნიკოლაევისა და ზ. ფალიაშვილისა. პირველი ცნობილია ტფ. საზოგადოებისათვის, როგორც ნიჭიერი პიანისტი. მეორე, როგორც დახელოვნებული და გამოცდილი დირიჟორი.

ბ-ნ ნიკოლაევის კონცერტი „E—moll“, რომელიც შესრულებულ იქმნა როიალზედ ავტორისავე მიერ, ორკესტრთან ერთად, საზოგადოებას ძლიერ მოეწონა და კომპოზიტორი მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა.

ხელოვნურადვე იქმნა შესრულებული ზ. ფალიაშვილის დირიჟორობით მშვენიერი სიმფონია ბეთხოვენისა № 5 E—moll“, რომელიც სათავეში უდგა მთელს პროგრამმას.

საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დაიშალა, თუმცა კი აღინიშნა, რომ ორკესტრის მიერ უკანასკნელად შესრულებული შაბრიეს „ესპანა“ სრულიად მეტი იყო; ამან მხოლოდ დაასახიჩრა მშვენივრად შედგენილი პროგრამმა.

ნ. ნიკოლაევს მადლობის ნიშნად მიართვეს ყვავილების მშვენიერი გვირგვინი; ამ გვარივე გვირგვინი მიართვეს ზ. ფალიაშვილს ქართული ფილარმონიულ საზოგ. მუსიკ. სკოლის მოწაფეთა და მასწავლებელთა სახელით. **შალვა ტ.—შვილი.**

—

**სომხური თეატრი.** კარგა ხანია, რაც მსახიობი ქალი ადამიანი სომხურ სცენას ემსახურება და ამ ბოლო დროს კი მან დიდი ნიჭი და წინსვლა გამოიჩინა.

ამ თვის 10-ს, სახაზინო თეატრში მისი ბენეფისი იყო. ითამაშეს უკვდავ შექსპირის „რომეო და ჯულიეტი“.

ქ-ნი ადამიანი ჯულიეტის როლს თამაშობდა, რომეოს — ახალგაზდა მსახიობი შაჰხათუნი. ეს პიესა სომხურს სცენაზე პირველად იყო დადგმული. მობენეფისემ და შაჰხათუნიმ საუკეთესოდ შეასრულეს თავიანთი როლები. დანარჩენებმა ხელი შეუწყეს ანსამბლს. მობენეფისემ მრავალი ძვირფასი საჩუქრები და ყვავილები მიიღო. ჩვენი „სიამაყე“ (sic) — ბურჟუაზია, ჩვეულებრივად, არ გახლდათ წარმოდგენაზე. მას არ სცალიან. იგი რომელიმე კლუბში, ალბად ლოტოს თამაშობდა. გზაც დაგვილოცნია.

**Artemius.**

# უცხოეთი

**„ექსპროპრიაცია“ ლონდონში.**

უცნაურ ამბავს იტყობინებიან ლონდონიდან. რუსის ემიგრანტებს განუზრახავთ ლონდონის ძვირფას თვლების, ოქრო-ვერცხლეულობის ერთ-ერთ მაღაზიის გაძარცვა. ამ მიზნის აღსასრულებლად რამდენიმე რუსის ემიგრანტს, ქალსა და კაცს, დაუქირავებია მაღაზიის მახლობლად ოთახი და შეუდგომიან ხვრელის გაყვანას. ემიგრანტების საეჭვო ცხოვრებას პოლიციის ყურადღება მიუქცევია. თურმე ისინი დღე და ღამ ფუსფუსებდნენ, რაც შეიძლება მალე მიეხწივნათ მიზანს და ხელთ ეგდოთ აუარებელი სიმდიდრე.

ხუთშაბათ საღამოთი, ის კი იყო ხვრელის გაყვანა დაესრულებინათ, რომ პოლიციამ მათ შესაპყრობად ალყა შემოარტყა ემიგრანტების ბინას.

თვით ექსპროპრიატორები უცბად თავს დაესხნენ პოლიციელებს, ხუთი ტყვიით დასჭრეს და მიმალნენ.

მეორე დღეს მთელი ლონდონის პოლიცია ფეხზე დადგა. დიდი ჩხრეკის შემდეგ ერთს ღარიბულად მოწყობილ ოთახში იპოვეს მკვდარი ახალგაზრდა, ტყვიით ებრაული.

ადმოჩნდა რომ ის დაეჭრათ თავის მეგობრებს გაცხარებულ სროლის დროს. ჩხრეკის დროს სახლშია აუარებელი არალეგალური რუსული ლიტერატურა და ხელნაწერები აღმოაჩინეს ზოგი პოლიციის მისვლამდე დაეწვათ. ლონდონში დიდი მითქმა-მოთქმაა ამ ექსპროპრიაციის გამო. დახოცილი პოლიციელები დიდის ამბით დაასაფლავეს. გამართეს ცოლ-შვილის სასარგებლოდ ხელის მოწერა. როგორც დანამდვილებით იტყობინებიან ამ ექსპროპრიაციის წინააღმდეგ უგელა რუსის ემიგრანტები პროტესტს აცხადებენ.

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო, ნება მომეცით ორიოდე სიტყვით პასუხი გავცე ქუთათურ თქვენს თანამშრომელს ბ-ნ სერგოს, რომელიც სახალხო გაზეთის 177 ნ—ში მოთავსებულ რეცენზიაში ცილს გვწამებს, თითქოს ჩვენმა დასმა მხოლოდ ერთი სახალხო წარმოდგენა გამართა. ასაკვირალია ღმერთმანი, უკანასკნელ აფიშაზე გარკვევით იყო წარწერილი „მეექვსე სახალხო-იაფფასიანი წარმოდგენა“, კიდევ ამბობს, რომ შემოსავალი არ არის და ხალხი ქართულ წარმოდგენებზე ნაკლებ დადისო; ესეც მოკლებულია სიმართლეს. წრეულს ქუთაისის თეატრში საზოგადოება ბლომად დადის, ასე წარმოიდგინეთ, ორთა შუა შემოსავალი, საბენეფისო ფასებით 375 მანეთი, ჩვეულებრივის ფასებით—250 მანეთი და დაკლებულის—172 მანეთი. ეს ციფრები ამოწერილია თეატრის საანგარიშო დავთრებიდან.

ქალაქ ქუთაისში ჩვენ ძლიერ მოხარული ვართ, რომ ახალგაზრდა დასის შრომა ასე კარგად და ღირსეულად ფასდება წელს.

თეატრის ადმინისტრატორი
**გ. ურუშაძე.**

—

ბ. რედაქტორო! უმდაბლესად გთხოვთ ალაგი ლაუთმოთ ამ მცირე შენიშვნას თქვენს პატივცემულ გაზეთში.

„სახალხო გაზეთის“ მე-168 ნომერში ვილაც „გარიყული“ სწერს დ. ცაგერში მცხოვრებ ინტელიგენტთა საქციელზედა, სხვათა შორის, ამბობს „რომ სათითაოდ თვალი გადაავლოთ იქ მსხდომთ, (სმასა და ბანქოს თამაშში) დაინახავთ, თვითეულ დაწესებულებიდან თითო ოროლა წევრი ურევია და დომხალივით არიან არეული“.

ეკკლესიაც დაწესებულებაა, მოგეხსენებათ, და მაშასადამე ეს სიტყვები მეც შემეხება, როგორც ადგილობრივ ეკკლესიის ერთად ერთს წინამძღვარ-წარმომადგენელს. მე არც ბანქოს თამაშობას ვეწევი (არც ვიცი) და არც ღვინის თაყვანისმცემელი ვარ. ყველა ხომ ერთის საზომით არ განიზომება?

თქვენი უმდაბლესი მონა
**ბლაღ. მღვდ. ი. მარგიანიძე.**

# განცხადებანი


## გამოცდილი მასწავლებელი

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც —პ ა ნ ს ი ო ნ შ ი, რომელშიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა პასწავლებლებიც).

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. საღ. 6 —8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ალაგას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ა დ რ ე ს ი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзала). (т—152—36)

## დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ, და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12 —1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**თ. მ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(о—246—з)

## სხვა და სხვა წამლების საწყობი

# ი. ახობაძისა

გადავიდა ახალ ბინაზე მუხრანის ქ. № 8 საწყობში ისყიდება: **„სპერმატინი“** კბილის წამალი **ელმეზა, კრემ ნოლლი**, რომელიც არბილებს ხელებსა და სახეს. აგრეთვე **ციებ ცხელების** წამალი.

წიგნაკები უფასოდ.

წამლები იგზავნება ფას დაკლებითაც. (10—237—5)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობის ა

## სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
# ძმ. ძეგველოვების
## მ ა ღ ა ზ ი ა ს

**პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,**

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

# ახალ-ახალი
## ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
# ხიზილალა
**ახალი** (Зернистая).

პ ა რ კ ი ს ა დ ა კ ო ლ ო ფ ე ბ ი თ

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

**მიიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). ხ0 კ. 60 კ. გირ**

აგრეთვე მიიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—128—54)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა — საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

## ტანისამოსის მკერავი
# ი. ნ. სვანიძე

**ტფილისი, ფოსტის ქ., სახლი ზუბალაშვილისა, № 6.**

ამით აუწყებს თავის პატივცემულ შემკვეთებლებს, რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეთა ფორმის ტანისამოსისათვის რუსეთისა და საზღვარგარეთის განსაკუთრებით სახელ-განთქმულ ფაბრიკებისაგან შევიძინე დიდძალი მაუდეულობა. ყველა ტანისამოსს ჰკერენ გამოცდილი ხელოსნები

**ჩემის ხელმძღვანელობით**

**ყველა დაკვეთილი ტანისამოსი იკერება სუფთად და კეთილსინდისიერად.** (20—127—20

## ხილეულობის, ხელოვნური მინერალური და სამკურნალო წყლები
# მ. ლაღიძისა და ამხ.

**მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვენითა და საუკეთესო ხილეულის შარბათით, გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.**

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ მანქანებით სპეციალისტის მუდმივის ხელმძღვანელობით.

**წყლების კარგი ღირსებისათვის ქარხანა დაჯილდოვებულია ოქროსა და ვერცხლის მენდლით.**

**ქარხნები:** ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე ტელეფ. № 411.
ქუთაისში, პუშკინის ქუჩა. (20—139—19)

# საკერავი მაშინა
## ზინგერის კომპანიისა

**ი ყ ი დ ე ბ ა**

**მხოლოთ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში**

ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ **1** მანეთიდან

ხელის მაშინები ფასად **25** მანეთიდან

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ КОМПАНИИ ЗИНГЕРЪ
КОМПАНІЯ ЗИНГЕРЪ

**მაღაზიის ნიშანი.**

**უფთხილდით სიყალბეს**

მაღაზიები ყველა ქალაქებში.

**მოითხოვეთ ბუნებრივი კახური ღვინოები ფირმისა**

# გრანდ-კახეთია

მუა ბაზაზარი, სახლი 13.

ფასები: **ბოთლი 20—50 კ.**, ვედრობით **2 მან. 40 კ.-დან 6 მ.-მდ მიტანით.**
ღვინის საწყობთან არსებობს საუცხოვო სამზარეულო ევროპიულს და კავკასიურ საჭმელებისა.

(20—240—7) პატივისცემით **ნ. გ. ჩაგუნავა** და **ს. სამადაშვილი.**

**ხელსაყრელი ფასიანი ქაღალდები**

შემოსავლიანი დიდის მოგებითა და უფასოდ დაზღვევით 5 წლის განმავლობაში, ცნობები უფასოდ იგზავნება.

ფასიან ქაღალდების სავაჭრო ამხ.

**ბერნარისა** და კ ო,

**(პარიზი),**

სევასტოპოლის ბულვარი 30—1.
მიწერა და მიმართვა შეიძლება რუსულად საზღვარ-გარედ გასაგზავნ წერილების მარკის ფასი ღირს 4 კ., დახურულისა 10 კაპ.

Метцль и К-о 89747. (234 5—3)

**სამშობიარო თავშესაფარი**

ბ ე ბ ი ა ქ ა ლ ი ს

## მ. ი. ფოროსტიანოვისა

მიიღებიან ორსულნი მოსალოგინებლად ყოველ დროს—დღითა და ღამით. არის აგრეთვე საიდუმლო ოთახები.

რეუტოვის ქ. № 10. (100—279—4)

**მშობიარეთა თავ შესაფარი**

ბ ე ბ ი ა ქ ა ლ ი

## მ. ი. კ რ ე მ ე რ ი ს ა

ნიკოლოზის ქ. სახ. № 47.

მშობიარენი და ორსული ქალები მიიღებიან დროს განუსაზღვრელათ—დღითაც და ღამითაც. მშობიარეთ კარგათ უვლიან, საექიმო დახმარებას მუდამ უწევენ, არის ოთახები ისეთ მშობიარეთათვის, რომელთაც საიდუმლოთ სურთ მოილოგინონ. პირობები საერთო პალატაში 2 მ. დღეღამეში, მშობიარობის დროს დახმარება 6 მანეთი, ნომერში მოსათავსებელ და გინეკოლოგიურ ავად მყოფთ ფული გადახდებათ წინასწარ მორიგების თანხმად. ქალთა სენით ავათმყოფთა მიღება და ძიძების გასინჯვა ყოველ-დღე დილის 12½ 11½ სა ათამდე (100—276—4)

ფირმა არსებობს 1840 წლ.

**სავაჭრო ნიშანი**

ფირმის წლ. შემოსავალ-გასავალი 50 მილ.

# უმაღლეს ხარისხის
# ჩაი
# ბუბკინ
## კუზნეცოვის ამხ.-ს
იშოვება ყველგან

## ჩაისა და ყავის ვაჭრობა ნარდად

**ტფილისის კანტორა: ველიამინოვის ქ. № 12 ტელფონ. № 964**
(20—140—6)

## ცენტრალური აზიური ბუფეტი
# პურ-ღვინო

**ვორონცოვის მოედანზე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.**
საჭმელები ევროპიული და კავკასიური; ღვინოები კახური საუკეთესო ფირმებისა და სვირულლი—ბოთლი 25 კაპეიკიდან 1 მანეთამდე; მაგარი სასმელები რუსეთისა და საზღვარ გარეთისა ზომიერ ფასებში; ყოველ-დღე ცოცხალი თევზი; ცალკე კაბინეტები; მოსამსახურენი სუფთა და მკვირცხლი.

**ვაჭრობა ღამის 2 საათამდე**

20—160—15) ამხანაგობის გამგე **არხიპო ჭიჭინაძე.**



ქუთაისი ალექსანდროვის ქ.

## ალექსანდრე
# თაბაგრის
## მაღაზია
## საკერავი და საქსოვი მაშინები

**გრამოფონები, ველოსიპედები**



და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის ხიკარგებშიც ვიძლევი გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდზედ, აგრეთვე ნისიათ. (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ“, რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. **მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფრის კარგად და ზომიერ ფასებში**

**გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოდის ყოველ კვირა.**

(50—269—2) **ფოსტის ადრესი:** Кутаисъ, А. Р. Табагари.

## თევზის მაღაზია
# ს. ა. გუკასოვისა

პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, მართლმადიდებელთა ძველის სემინარიის პირდაპირ

**ტელეფონი № 395**



**ტელეფონი № 395**

განუწყვეტლივ, ყოველ დღე მოგვდის ახალ-ახალი **ზუთხი და თართი**, ხიზილალა პარკისა, ქვირითისა და კოლოფებით. საუკეთესო დოში და ზურგიელი და აგრეთვე ყოველგვარი თევზეული.

**ფასები სინდისიერია.** პატივისცემით **ს. ა. გუკასოვი.** (40—33—29)

# პ ა ტ ე ფ ო ნ ი

## ძმათა პატე პარიზში.

## საუკეთესო მოლაპარაკე მანქანა

ПЛАСТИНКИ ПАТЕ ИГРАЮТЪ БЕЗЪ ИГОЛОКЪ
УТВЕРЖДЕН. ФАБРИЧНАЯ МАРКА

**ნემსების გამოცვლა არა საჭიროება, არა ხრიალებს ფირფიტები, არა ფუჭდება!**

## ახალი ამგავი: პატეფონი უურუპორო.

**№ 1 ფასი 50 მან. № 3 ფასი 65 მან.**

## ფირფიტების დიდი რეპერტუარი ყველა ენებზე

**კავკასიაში ახლად ჩაწერილები.** **საზოგადოების სათაყვანო ა. მ. დავიდოვის ჩაწერილები.**

**ნოემბრის გამოჩენილი ფირფიტები:**

| ა. მ. დავიდოვი | ნ ვ. პლევიცკისა. | ციგანთა ორკესტრი | მ. ა. ემსკისა. |
|---|---|---|---|
| **არტისტი იმპ. მარიის ოპერისა.** 24374. არია, ოპ „აფრიკანკა“, აკ. ორკ. (მეიერისა). 24373. „უკანასკნელია დღევანდელი დღე“, აკ. გიტარისა, პროფ. ამიჩისა. | (საუკეთესოდ შემსრულებელ რუსულ ხალხურ სიმღერებისა). 26640. „უხარ კუპეც“. 26730. „უკანასკნელია დღევანდელი დღე“. | 39425. ა) „ორჯელ ჰყვავის აკაცია“ და ბ) ვადაჩონ“, ჩორდა შ. 39457. „ალტაცება“, ვალსი. 39453. „როს სიყვარული ჰქრება“, ვალსი კრემიესი. 39469. „სცვივიან ფოთოლნი ცაცხვისა“ და „ბალატინის ტალღებზე“. | **ხოპერ. არტისტ.** 27245 „ნატვრა“ აკ. როიალ. 27251 „მიწყნარებ. ზღვასთან. აკკ. როიალის. 27246 „თქვენე მიხვდით“ აკკ როიალ. 27252 „ერთხელ ტყეში ვსეირნობდი“ როიალ. აკკ. |

**კავკასიის აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების იჯარადარი.**

ერთად ერთი წარმომადგენელი **კარლ შუმან.** ტფილ. გოლოვინის პროსპ.

(9—247—3)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სოლულაშვილი.